

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მოკლე მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ფორმირება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგიის, “საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, სახელმძღვანელო შემდგენელთათვის” (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2004 წ.) და უახლესი რეკომენდაციების „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები, 2010 წ.“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2011 წ.) შესაბამისად.

საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს აღრიცხვის “ზოგად მეთოდს”, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა.

ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოების პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. **იმპორტში** იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებული საქონლის რეიმპორტი.

ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი – CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (გარდა ფასისა მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).

ექსპორტისა და იმპორტის ჯამი წარმოადგენს საგარეო სავაჭრო ბრუნვას:

$$\text{ექსპორტი} + \text{იმპორტი} = \text{საგარეო სავაჭრო ბრუნვა}$$

ხოლო სხვაობა _ საგარეო ვაჭრობის სალდოს:

$$\text{ექსპორტი} - \text{იმპორტი} = \text{საგარეო ვაჭრობის სალდო}$$

თუ საგარეო ვაჭრობის სალდო დადებითია ნიშნავს, რომ ექსპორტი ჭარბობს იმპორტს, ხოლო თუ უარყოფითი _ პირიქით _ იმპორტი აღემატება ექსპორტს.

პარტნიორი ქვეყნის დადგენის კრიტერიუმებია: იმპორტის დროს – საქონლის წარმოების ან გამომგზავნი ქვეყანა, ექსპორტის დროს – საბოლოო დანიშნულების ქვეყანა.

საგარეო სავაჭრო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველთვიურად იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან. ამასთან, ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობის შესახებ დამატებით მიიღება შსს-ის მომსახურების სააგენტოდან, ხოლო ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის შესახებ – შესაბამისად შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"-დან და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-დან.

საქსტატი შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს:

- სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის კონტროლს ძირითადი ინფორმაციული ველების მიხედვით - საქონლის კოდი, ფასი, წონა, დამატებითი ზომის ერთეული, გამგზავნი/მიმღები ქვეყნის კოდი;

- ძირითადი საქონლის მიხედვით ზღვრული ფასის კონტროლს და შესაბამისად, რაოდენობის, ღირებულების ან დამატებითი ზომის ერთეულის კორექტირებას;

- იმ საქონლის ამოღებას შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან, რომელიც არ განეკუთვნება საქონლით საგარეო ვაჭრობას (მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდები, ბანკნოტები და მონეტები; დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი; დიპლომატიური და სხვა სახის ტვირთები, რომლებიც საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით არ შედის საქონლით საგარეო ვაჭრობაში).

ინფორმაცია არ მოიცავს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა №4) მონაცემებს.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვისათვის გამოიყენება “საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (სეს სნ 2012)”, რომელიც აგებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე.

ღირებულებითი მაჩვენებლები მოცემულია აშშ დოლარებში. სტატისტიკური ღირებულების გაანგარიშება აშშ დოლარებში ხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების გაფორმების მომენტში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის დინამიკური მწკრივები ხელმისაწვდომია 1995 წლიდან ქვეყნებისა და საქონლის ჭრილში.

მონაცემები მუშავდება და ქვეყნდება ყოველთვიური პერიოდულობით. 2012 წლიდან საქსტატი ახორციელებს ექსპრეს ინფორმაციის გავრცელებას საანგარიშო თვის დასრულებიდან მე-13 დღეს, რომელიც მოიცავს ექსპორტის, იმპორტის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და სავაჭრო

ბალანსის აგრეგირებულ მონაცემებს. რაც შეეხება დეტალურ ინფორმაციას ქვეყნებისა და საქონლის ჭრილში, ქვეყნდება საანგარიშო თვის დასრულებიდან მე-19 დღეს.

შენიშვნა: დეტალური მეთოდოლოგია იხილეთ ბმულის სამუალებით
http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=745&lang=geo